ზაქარია გიუნაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სპეციალისტი (მათემატიკა)

მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი

სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“

მასტერ კლასი: „ციფრული საკლასო ოთახი - ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება მათემატიკის სწავლების პროცესში“

ციფრული ინსტრუმენტების და რესურსების გამოყენება, ისევე როგორც ციფრული რესურსების შექმნა, თანამედროვე პედაგოგიური პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია. ამას ასევე დიდი ყურადღება ექცევა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში.

მასტერკლასის მიზნებია იმ უნარების და კომპეტენციების განვითარება, რომლებიც საჭიროა ისეთი ციფრული რესურსების წვდომისა და შექმნისათვის, რომლებიც დაეხმარება და წაახალისებს მოსწავლეებს მათემატიკური ცნებების და პროცედურების უკეთ გააზრებაში.

მასტერკლასის მონაწილეები გაეცნობიან მოსწავლეთა განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასებისას ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების და შეფასების შედეგების ანალიზის პრინციპებს.

მასტერკლასის განმავლობაში მონაწილეები შექმნიან ვირტუალურ საკლასო ოთახს, რომელსაც გამოიყენებენ როგორც მასტერკლასის მსვლელობისას, ასევე შემდგომ, მათ შორის საკუთარ სასწავლო პრაქტიკაში.

<u>მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი:</u> მათემატიკის მოქმედი მასწავლებლები

<u>მსმენელთა რაოდენობა:</u> 25 მსმენელი

<u>მასტერ კლასის ხანგრძლივობა:</u> 4 საათი.